თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 26 სექტემბერი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4.გოჩა ვერულაშვილი 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. .გიორგი ბარათაშვილი, 2.გრიგოლ გიორგაძე,3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 6 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282326846 წერილი, 25.09.2023 წ)

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282325118 წერილი, 08.09. 2023 წ).

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზედადგენილების პროექტი-ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 137.8 ათასი ლარით და შეადგენს 30232.9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გრანტი გაიზარდა 137.8 ათასი ლარით სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შეძენა.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 115.0 ათასი ლარით.გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 5.0 ლარით.საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი შემცირდა 48.3 ათასი ლარით.სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის ხარჯი შემცირდა 51.7 ათასი ლარით .ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით.ამბულატორიების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 252.8 ათასი ლარით.საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 207.8 ათასი ლარით,აქედან 137.8 ათასი ლარი განკუთვნილია სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შესაძენად.სოფლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.სპორტული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.სოციალური დაცვა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, მანუჩარ ფანჩულიძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია-ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდება 104.9 ათასი ლარით (გრანტი) და სეადგენს 30186.1 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით.გზებისა და ხიდების მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯის დაფინანსება

გაიზარდა 104.9 ათასი ლარით,სოფ.გოდოგანში ხორხის უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას,საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე
თემურ ქოჩიაშვილი